

ჟაკ ვილოტი (Jacques Villotte) - ფრანგი იეზუიტი მისიონერი, „იეზუიტთა საზოგადოების მისიონერის მოგზაურობის“¹ ავტორი. მისი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში 1680-იანი წლების ბოლოს დაიწყო და მე-18 საუკუნის პირველ წლებში დასრულდა. ვილოტმა არაერთი წელი დაჰყო ოსმალეთის იმპერიაში და ირანში; თავის ნაშრომში მან ამ ქვეყნებთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეკონომიკური ხასიათის საკითხი გააშუქა. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ კათოლიკე მისიონერი მუსლიმურ სახელმწიფოებში მოგზაურობისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობაზე, მათ შორის, სომხებსა და ქართველებზე, რომლებთან დაკავშირებითაც ის არაერთ ღირებულ ცნობას გვაწვდის.

საქართველოს შესახებ:

« Le sexe en Géorgie aiant plus de beauté qu'en toute autre province de l'Orient, c'est de-là qu'on en tire tous les ans un grand nombre de jeunes filles pour les serrails du Roi et des Seigneurs Mahometans. »²

„აღმოსავლეთის ქვეყნების მასშტაბით ქართველი ქალები ყველაზე ლამაზები არიან; სწორედ აქედან იგზავნება ყოველწლიურად უამრავი ქალწული მეფის [შაჰის] სასახლის კარისთვის და მუსლიმი მმართველებისთვის.“

« ... Les Géorgiens étant braves, redoutables aux Mahometans et en état de le mettre à couvert de toutes les avanies auxquelles on est exposé lorsqu'on voyage en ces pays... »³

¹ Jacques Villotte, *Voyages d'un Missionnaire de la Compagnie de Jésus en Turquie, en Perse, en Arménie, en Arabie et en Barbarie*, Chez Jacques Vincent, Paris, 1730.

² Ibid, 117.

³ Ibid, 180.

„ქართველებს, რომლებიც მამაცები არიან, მუსლიმები ერიდებიან; მათ შეუძლიათ დაიცვან თავი და მოიგერიონ ნებისმიერი საფრთხე, რომელმაც შესაძლოა ამ ქვეყნებში მოგზაურობისას [აღმოსავლეთის ქვეყნები] იჩინოს თავი.“

EN GEORGIE.

A Tiflis, capitale, à Gori, à Coratis, à Hamadan, les Peres Capucins Italiens, M^{rs} des Missions étrangères.

Dans toutes ces villes, où les Missions sont établies, il y a beaucoup d'Armeniens catholiques & de schismatiques réunis à l'Eglise, & tous les jours le nombre en augmente; par la bénédiction que Dieu répand sur les travaux des Missionnaires.

„ყველა ამ ქალაქში, სადაც მისიებია დაარსებული, ბევრი სომეხი კათოლიკე და სქიზმატიკოსია [სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი] გაერთიანებული ეკლესიაში [ეკლესიის კალთის ქვეშ] და მათი რიცხვი, უფლის წყალობით და მისიონერთა ძალისხმევით დღითიდღე იზრდება [კათოლიკური ეკლესიის მრევლი].“⁴

სომხეთის შესახებ:

« La ville d'Erivan [Yerevan], connue par les Anciens sous le nom de Neronia et Artaxata, est appelée par les Arméniens Ardachat. Monsieur de Tournefort est d'un sentiment différent; il prétend qu'Ardachat n'est point Erivan, mais que c'est une ville bâtie entre Erivan et le

⁴ Ibid, 537.

Mont Ararat par Artaxes Roi d'Arménie, dans un contour que l'Araxe fait en forme de péninsule. Elle fut, selon lui, le siège des Rois d'Arménie... Elle n'est [Yerevan] ni si grande, ni si peuplée, qu'elle étoit avant qu'un effroyable tremblement de terre vers l'an 1676 en eut renversé la plupart des maisons et enseveli sous les ruines la moitié des habitants. Elle ne laissait pas d'être encore regardée par les Persans comme un boulevard qui les mettait à couvert de l'invasion des Turcs; c'est pour cela qu'ils ne lui donnaient alors que le nom de Kala, c'est-à-dire, de château et de forteresse par excellence. Comme elle est frontière des deux Empires, elle a été de tout tems le théâtre de la guerre entre les Persans et les Turcs. »⁵

„ქალაქ ერევანს, რომელსაც ძველად ნერონიას და არტაშატის [ძველი ქალაქი] სახელით იცნობდნენ, სომხები არტაშატს უწოდებენ. ბატონი ტურნეფორი სხვაგვარად ფიქრობს; ის მიიჩნევს, რომ არტაშატი არა ერევანი, არამედ ის ქალაქია, რომელიც სომხეთის მეფის, არტაშეს მიერ, ერევანსა და არარატის მთას შორის იმ ადგილას აშენდა, სადაც არაქსის შენაკადები ნახევარკუნძულის ფორმას ქმნიან. მისი თქმით, ეს სომხეთის მეფეების სატახტო ქალაქი იყო... ის [ერევანი] არც ძალიან დიდი და არც ძალიან დასახლებული არ არის, როგორც ეს დაახლოებით 1676 წელს მომხდარ საშინელ მიწისძვრამდე იყო, რომელმაც სახლების უმეტესობა დაანგრია და მოსახლეობის ნახევარი ნანგრევების ქვეშ დამარხა. მიუხედავად ამისა, ის [ერევანი] სპარსელების მიერ კვლავაც მიიჩნეოდა ისეთ სიმაგრედ, რომელიც მათ თურქების შემოსევისგან იცავდა; ამიტომაც უწოდეს მას „კალა“ [Kala], რომელიც მნიშვნელოვნად გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს აღნიშნავდა. ვინაიდან იგი ორი იმპერიის საზღვარზე მდებარეობს, ის გამუდმებით ხდებოდა სპარსელებსა და თურქებს შორის არსებული დაპირისპირების ეპიცენტრი.“

« Le malheur qu'ont eu les Arméniens depuis près de douze siècles, de naître et d'être élevés au milieu des Mahometans, ne pouvait manquer d'être suivi d'un autre encore plus grand, je

⁵ Ibid, 65-66.

veux dire, d'en prendre insensiblement les coutumes, les mœurs, les qualités et la Religion même, surtout depuis qu'aient perdu la liberté avec leurs Rois, ils sont tombés dans l'esclavage des Princes Mahometans. Mais si l'on reproche à quelques-uns, avec raison, leur lâcheté et leur perfidie, de s'être laissé entraîner à la Religion de leurs Maitres infidèles, ne doit-on pas aussi rendre justice à un nombre incomparablement plus grand de généreux Arméniens, qui, malgré les avanies, les persécutions, les pertes de biens, les prisons et les fers, sont toujours demeurez fermés dans le Christianisme et même dans la Catholicité, répandu pour la querelle et l'amour de Jésus-Christ dans toutes les provinces d'Arménie, a crié auprès du Seigneur et a obtenu à ces peuples une fermeté inébranlable dans la fois de leurs pères. »⁶



„იმ უბედურებას, რომლის გადატანაც სომხებს თითქმის თორმეტი საუკუნის განმავლობაში უხდებოდათ, მუსლიმთა შორის დაბადებით და აღზრდით, მოჰყვა უფრო დიდი უბედურება, რაც [ახალი] ჩვეულებების, ცხოვრების წესის, თვისებებისა და თვით რელიგიის შეფარულად მიღებას უკავშირდება, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მათ თავიანთ მეფეებთან ერთად დაკარგეს თავისუფლება და მუსლიმი მმართველების უღელქვეშ აღმოჩნდნენ. მაგრამ თუ ჩვენ სამართლიანად ვკიცხავთ ზოგიერთს მათი სიმხდალისა და ორგულობის გამო, როდესაც ისინი თავიანთი ურწმუნო ბატონების რელიგიას აღიარებდნენ, არ უნდა დავივიწყოთ შეუდარებლად ბევრი კეთილშობილი სომეხი, რომლებმაც დამცირების, შეურაცხყოფის, ქონების დაკარგვის და დატუსაღების მიუხედავად, ქრისტიანულ რწმენაში და თუნდაც კათოლიციზმში მტკიცედ დარჩენა მოახერხეს, ავრცელებდნენ იესო ქრისტეს სიყვარულს სომხეთის ყველა კუთხეში, უფლის სახელს ღაღადებდნენ და ამ საქმით თავის ხალხს მამა-პაპათა რწმენის გაფრთხილებისა და შენარჩუნების საშუალებას აძლევდნენ.“

მთარგმნელი გ. ფერაძე

⁶ Ibid, 532-533.

ქვეყნდება პირველად

VOYAGES
D'UN
MISSIONNAIRE
De la Compagnie de J E S U S,
*En Turquie , en Perse , en Armenie , en
Arabie , & en Barbarie.*



A P A R I S.
Chez JACQUES VINCENT, rue & vis-à-vis
l'Eglise de S. Severin, à l'Ange.

M. D C C. X X X.
AVEC APPROBATION ET PRIVILEGE DU ROY
Gredet De Molle